ხუთწლედი—ვადამდე!

შეჯიბრების დიადი ძალა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 ოქტომბერი სამშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 235 (15145)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშები და კოლმეურნეები, ინჟინრები, ტექნიკოსები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელნი კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ სახალხო-სამეურნეო გეგმების, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

თბილისი. 1971 წლის 11 ოქტომბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე სოციალისტური შრომის გმირებთან.

ფოტო ვლ. ბინზუბურგისა.

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო სოციალისტური შრომის გმირთა ჯგუფი

მთავრდება ახალი ხუთწლედის პირველი სამეურნეო წელი. ფაბრიკებისა და ქარხნების, მშენებლობებისა და საწარმოების მშრომელებს ახალი შრომითი საგმირო საქმეები შთააგონა იმან, რომ წარმატებით დაამთავრა რესპუბლიკის მრეწველობამ ცხრა თვის გეგმა.

გულთბილ, გულახდილ საუბარში საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს გაუზიარეს თავიანთი შეხედულებანი იმ ღონისძიებებზე, რომლებიც დასახეს მათმა კოლექტივებმა, ბრიგადებმა და პირადად მათ წლიურ დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ამის შესახებ ილაპარაკეს დარბაზობაზე სოციალისტური შრომის გმირებმა — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბრძმედის საამქროს უფროსმა ოსტატმა ა. ძამაშვილმა, „ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალმა შ. ფირცხალავამ, თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორმა ი. ხვედელიანმა, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელმა პ. ილურიძემ, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის ხის მემოდელემ ვ. ბოროდავკამ, თბილისის აბრეშუმის გაერთიანების მქსოველმა მ. სოლომონიამ, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშემწემ ვ. ქმამაშვილმა, „თბილისგვირაბმშენის“ № 5 მეგვირაბეთა რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირმა ბ. ობოლაძემ, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მძახავმა ე. პოფიწაშვილმა, „მთავართბილმშენის“ № 10 სამშენებლო სამართველოს ხუროთა ბრიგადირმა ვ. ჰმლიძმ.

ჩინებული შრომითი მაჩვენებლებით ამთავრებენ მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს სოციალისტური შრომის გმირები—„თბილისგვირაბმშენის“ № 5 მეგვირაბეთა რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი პ. ლიუბაკსკი, „მთავართბილმშენის“ გაერთიანების მებეტონე ნ. ომეერიძე, თბილისის ფეხსაცმელის ფაბრიკა „ისნის“ ფეხსაცმელმომჭიმავი ბ. ჩუხაშვილი, ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის ზეინკალთა ბრიგადირი ვ. ამირანაშვილი, რომლებიც მიღებაზე იყვნენ.

ჩვენი მრეწველობის მუშაკთა მიღწევები, თქვა ვ. პ. მჟავანაძემ, სახეზეა. მათ რესპუბლიკის ყველა მშრომელი გაახარეს, ამრავლეს საქართველოს მუშათა კლასის დიდება. მაგრამ სკკპ XXIV ყრილობის მიერ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად დიდი და დაძაბული მუშაობა უნდა გავწიოთ. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვათ თქვენ, საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებმა.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. შ. ცხაკაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ე. ღუდუშაური, ო. აბესაძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჰედლიშვილი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი შ. ყარყარაშვილი. (საქდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ანვარ სადათი

11 ოქტომბერს მოსკოვი გულთბილად შეეგება ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარეს ანვარ სადათს. იგი ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომი მორთული იყო ორი მეგობარი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით. საპატიო სტუმრის დასახვედრად მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჰ. ლიაშკო, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, ა. ა. გრეჩკო, ბ. პ. ბუგაევი, ნ. ს. პატოლიჩევი, ვ. ს. ნოვიკოვი, ნ. ა. შჩოლოკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ვ. ვ. ზინოგრადოვი.

დამხვდურთა შორის იყვნენ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში მ. ვ. ამბაზი, არაბული ქვეყნების სსრ კავშირში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

საპატიო სტუმარს ახლავან პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე აზიზ სიდკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ რიადი, პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში მუჰამედ კაშიზ ისმაილი, არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პრეზიდენტის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში მუჰამედ აბდელ სალამ აზ-ზაიათი, სამხედრო მინისტრი, გენერალი მუჰამედ ტამედ საადეი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი მუჰამედ მურად კალეთი და სხვა სახელმწიფო მოღვაწენი.

საფრენ მინდორზე ჩამწკრივებული იყო სამი გვარეობის ჯარების საპატიო ყარაული, თავი მოეყარათ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებს.

დამხვდურნი გულთბილად მიესალმნენ ანვარ სადათსა და მის თანმხლებ ოფიციალურ პირებს.

შესრულდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ წამოუარეს საბჭოთა მეთმრვების მწყობრს.

ანვარ სადათი და სხვა სტუმრები წავიდნენ კრემლში. ქუჩები, რომლებითაც მიდიოდა მანქანების კორტეჟი, მორთული იყო სახელმწიფო ალმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით არაბულ და რუსულ ენებზე. ათასობით მოსკოველი ხხურეალე ტაშით გამოხატავდა მეგობრულ გრძნობებს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის წარმომადგენლებისადმი. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა

11 ოქტომბერს მოსკოვში რაბათიდან დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სადაც იგი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მაროკოს მეფე ჰასან მეორის მიწვევით. მასთან ერთად დაბრუნდნენ ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი. ა. მაზიაუსნისი,** სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ი. მიხნიკი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ს. ვ. კოზირევი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **მ. რ. კუზმინი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის პირველი მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი.**

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხ. **ა. ნ. კოსიგინს** შეხვდნენ ამხანაგები **ვ. ვ. გრიშინი, დ. ს. პოლიანსკი, ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. სოლომენცევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ნ. კ. ბაიბაკოვი, ბ. ე. დიმიჩი, მ. ტ. ეფრემოვი, ვ. ა. კირილინი, მ. ა. ლესეჩკო, ლ. ვ. სმირნოვი, ნ. ა. ტიხონოვი,** სსრ კავშირის მინისტრები **ა. ა. გრომიკო, ა. ა. გრეჩკო, ბ. პ. ბუგაევი, ნ. ს. პატოლიჩევი, ნ. ა. შჩოლოკოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. ს. სმირტიუკოვი,** მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. თ. პრომისლოვი.**

შეხვედრთა შორის იყვნენ ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში **ა. ა. შიტური** და მაროკოს დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში **მოჰამედ ბენ ბუზიდი.** (საკდესი).

მოგილოცავთ, მეგობრებო!

ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის ზეპირია ფალიაშვილის სახელობის პრემიის კომიტეტმა გამოაცხადა ამ პრემიის ლაურეატები:

საკონცერტო-სუმფონიურ საკმიანობის დარგში სიმღერა წოდება მიენიჭოთ:

სსრ კავშირის სახალხო არტისტებს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტებს **ზ. ანჯაფარიძეს, ვ. ამირანაშვილსა** და საქართველოს სსრ სახალხო არტისტს **მ. ამირანაშვილს** ქართული მუსიკის პროპაგანდისა და ზ. ფალიაშვილის ოპერებში წარმატებით გამოსელისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, პროფესორ **ვ. ფალიაშვილს** — ზეპირია ფალიაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლისა და პროპაგანდისათვის, კინოში და გრამფირფიტებზე ოპერების „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის“ მოღალმატვრული ჩაწერისათვის.

მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნის დარგში:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, პროფესორს, კომპოზიტორს **შ. მშველიძეს** ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის წინაშე დამსახურებისა და ამ. ბოლო წლებში შექმნილი ნაწარმოებებისათვის.

მუსიკის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე ნაშრომების დარგში:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს პროფესორ **ვ. დონაძეს** — წერგნისათვის „ზეპირია ფალიაშვილი“, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი კომპოზიტორის დაბადების 100 წლისთავს (გამომცემლობა „მუზიკა“, მოსკოვი. 1971 წელი). (საქდესი).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1971 წლის 11 ოქტომბერი **№ 216** ქ. მოსკოვი

1971 წლის ნოემბერ-დეკემბერში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომლებმაც გაიარეს სამსახურის დადგენილი ვადა, და სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევის შესახებ

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. 1971 წლის ნოემბერ-დეკემბერში საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან დათხოვნილ იქნან ოფიცრებში სამხედრო სამსახურში, რომელთაც სამხედრო სამსახურის ვადა გაუდით 1971 წლის 31 დეკემბრამდე.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეთა თანრიგში დათხოვნასთან დაკავშირებით საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნან მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის დღისათვის უსრულდებათ 18 წელი და არა აქვთ გაწვევის გადავადების უფლება, აგრეთვე უფროსი გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც გაუვიდათ გაწვევის გადავადების ვადა.

3. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს ყველა ანეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. გრეჩკო.**

გამარჯობათ, ქართველო სტახანოველებო!

ინტერვიუს იძლევა გამოჩენილი მეშახტე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ალექსი სტახანოვი

არც ისე დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში სტახანოვური მოძრაობის მამამთავარს, სახელგანთქმულ მეშახტეს, აშკარად პერსონალური პენსიონერს ალექსი სტახანოვს მეორედ მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ეს ფაქტი დიდმნიშვნელოვანია. ამ ლეგენდარული მშრომელის დაწყებული საქმე ათეული წლებია გრძელდება და მილიონების კუთვნილება გახდა. ალექსი სტახანოვის შრომითმა გამოცდილებამ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. სტახანოვური მოძრაობა ფართოდ გავრცელდა მრეწველობის სხვადასხვა დარგში, ათასობით მუშამ პირადი დავალებების ორმაგად შესრულება დაიწყო. ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ და კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, იგონებენ სტახანოვური მოძრაობის მამამთავარს.

ჟ. შახტიორსკის გაზეთ „ზნამია პობედის“ რედაქტორის მოადგილე პ. ბუზმაკოვი შეხვდა სახელგანთქმულ ვეტერან მეშახტეს ალექსი სტახანოვს და ინტერვიუ სთხოვა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის.

— ამ შრომითი ენთუზიაზმის დღეებში მივეალმები ქართველ კოლეგებს, ვეტერან მშრომელებს, ახალგაზრდებს, — თქვა ალექსი სტახანოვმა. — ჯეროვან მათ ახალ შრომითს გამარჯვებებს ხუთწლედის გზაზე. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჯილიარა ჩემი სიხარული მეორედ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მონიჭების გამო და ჯილთბილი ამაღელვებელი სტრიქონები მომწერა.

საქართველო მუდამ მიზიდავდა. ჩემს ხანგრძლივ შრომითს ბიოგრაფიაში ჭეშმარიტად საზეიმო ხანად მიმაჩნია ის დღეები, როცა საქართველოში ვიყავი და ჭიათურელ მაღაროელებსა და ტყიბულელ მეშახტეებს ვკავიანი. სიხარულით შევიტყვე, რომ ჩვენს წამოწყებას არა მარტო შახტიესა და მაღაროებში ქადდა მიმდევრები, არამედ სხვა საწარმოებშიც. მახსოვს, მომითხრობდნენ თბილისელი მჭედლის კონსტანტინე ილორეძის ამბორობაზე, რომელმაც პირადი დავალების ოთხმაგად შესრულება დაიწყო.

ჩემი თაობა ახლა ვეტერანებია. მაგრამ ჯერ კიდევ შრომობს. მეც, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამოცდახუთ წელს გადავაბიჯე, საქმეს მაინც ვერ ვტოვებ. შახტის მთავარი ინჟინრის თანაშემწედ ვმუშაობ და ახალგაზრდების ვკვირდით ვტრიალებ. მეამაყება, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში. და თქვენს მშვენიერ რესპუბლიკაშიც, სოციალისტური შეჯიბრების დროშა მაღლა უკრიალავს ჩვენს მომდევნო თაობებს. ახლა, თქვენთან, დარწმუნებული ვარ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ შეჯიბრებას განსაკუთრებული ენთუზიაზმი, დამკვიდრული ტემპი მიეცემა.

შეჯიბრება გამარჯვების მამაა. ამაში ათეულ წლობით ჩემმა შრომითმა პრაქტიკამ დამარწმუნა. დღეს ერთხელ კიდევ რომ გადავავლე თვალი ჩემს წარსულს, მინდა ქართველ კოლეგებს ვუთხრა, რომ დონბასელ მეშახტეთა მოძრაობა ჩვენი პარტიისა და მთავრობის დიდი მზრუნველობისა და მხარდაჭერის მეოხებით გაფართოვდა და გავრცელდა. შეჯიბრების გზაზე დადგა მილიონობით საბჭოთა მშრომელი და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისათვის საჭირო მძიმე ტვირთის ზიდვა ენთუზიაზმით ითავა. სწორედ ამიტომ გავიმარჯვეთ.

ახლა, როცა პარტია მოგვიწოდებს სოციალისტური შეჯიბრება ავიყვანოთ უფრო მაღალ დონეზე, მივიღეთ მას მეტი ქმედითობა და გავხადოთ ის მასობრივი, მინდა საქართველოს მშრომელებს, შეჯიბრების ვეტერანებს და ახალგაზრდა მუშაკებს ვუსურვო ახალი ხუთწლიდის გზაზე მუდამ წარმატების, გამარჯვების გზით ვავლოთ.

თქვენი ალექსი სტახანოვი.

სურათზე: ალექსი სტახანოვი (ცენტრში) ახალგაზრდა დონეცელ მეშახტეებთან.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანები — ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია და ს. ბაზანდარაშვილი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

შეჯიბრების დიადი ძალა

საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანები — სოფლად სოციალისტური შეჯიბრების პირველი ორგანიზატორები სტუმრად საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 8 ოქტომბერს გაიმართა საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანების — საქართველოს კოლმეურნე გლეხობის სახელოვანი წარმომადგენლების შეხვედრა სტუდენტ ახალგაზრდობასთან.

იმავე დღეს ვეტერანი კოლმეურნეები მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

ვეტერანი კოლმეურნეების შეხვედრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტ ახალგაზრდობასთან მოეწყო საქართველოს შურნალისტთა კავშირის, გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკასა“ რედაქციების ინიციატივით.

რამდენიმე დღით ადრე ასეთი შეხვედრა მოეწყო საქართველოს მუშათა კლასის სახელოვანი წარმომადგენლებისა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ახალგაზრდობასთან.

კავშირი უროსი და ნამგლისა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბში ჩახატულია ერთმანეთს გადაჯდომული ურო და ნამგალი — ჩვენი დიდი საბჭოთა წყობილების ბურჯის — მუშათა და გლეხთა კლასების ურღვევი კავშირისა და მეგობრობის სწორუპოვარი სიმბოლო.

ნამგლისა და უროს კავშირი ჩვენს ქვეყანაში ქალაქისა და სოფლის ერთიანი, ნაყოფიერი, შემოქმედებითი შრომაა ხალხთა ბედნიერებისათვის, მისი ყოფაცხოვრების ყოველმხრივი ამაღლებისათვის. ამ შრომამ წლების მანძილზე გამოიწარდა კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანები, გამოაწრთო მათი სასიათი, გამოჭედა ის დიდი გამარჯვებები, რომლებიც საბჭოთა ქვეყანამ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა ჯაზერნეი და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე.

კოლმეურნე დღეს ის არ არის, რაც ოცდაათიან წლებში იყო. ახლა იგი კომუნიზმის აქტიური, შეგნებული მშენებელია. ამაღლდა მისი ცოდნის დონე, გაძლიერდა კოლმეურნეობის ეკონომიკა, მექანიზაციამ ფართოდ მოიკიდა ფეხი სოფლის მეურნეობაში. ელექტრობა, კინო, რადიო, ტელევიზია, გაზი კოლმეურნეთა ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდა. ახლა ვამბობთ კოლმეურნე გლეხს, მერგოლურს, ბრიგადირს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და ჭარშოვდგენთ არა ჭარაკითხვის უცოდინარ, ან მცირემცოდნე მიწის მუშას, როგორც ეს სამი ათეული წლის წინათ შეიძლებოდა ყოფილიყო, არამედ საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე წიგნიერ ადამიანს — ტექნიკოსს, აგრონომს, ინჟინერს, ზოოტექნიკოსს, ვეტერინარ ექიმს, მექანიზატორს — ტრაქტორისტს, კომბაინერს...

საქართველოს სსრ კოლმეურნეთა III ყრილობაზე თავის მოსსენებაში ამხანაგმა ვახილ მჟავანაძემ გაიხსენა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, რომელიც ოცნებობდა იმ დროზე, როცა საქართველოს ოცდაათი ინჟინერი და აგრონომი ეყოლებოდა, ამგვარად საქართველოს სოფლის მეურნეობაში 19 ათასზე მეტი სპეციალისტი მუშაობს. კოლმეურნეობებს ძირითადად ხელმძღვანელობენ უმაღლესი და სამუალო განათლების მქონე ადამიანები. მარტო ერთ — გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობაში იცი აგრონომი, ზოოტექნიკოსი და ინჟინერ-მექანიზატორი მუშაობს.

თუ ადრე ჩვენი სოფლები მეურნეობის ზოლოდ ერთეულ დარგებს მისდევდნენ, ახლა საქართველოს სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანია. ჩვენს კოლმეურნეებს მოპყავთ მარცვლეული, ჩაი, ყურძენი, ხილი, თამბაქო, მზესუმზირა, ტუნგი, ციტრუსები, შაქრის ჭარხალი, ყარტოფილი, ბოსტნეული, სხვადასხვა ტექნიკური კულტურები. ფართოდ არის განვითარებული მეცხოველეობა და მეფრინველეობა.

სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგად მომხდარი ცვლილებების შესახებ თვალსაჩინო და ნათელ სურათს იძლევა თუნდაც ასეთი მარტივი შედარება.

1933 წელს მთელ საქართველოში მოიკრიფა 2 მილიონ 12 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ახლა კი მარტო მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობა ყოველწლიურად კრეფს 3 მილიონ კილოგრამზე მეტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, ე. ი. იმაზე გაცილებით მეტს, რაც მაშინ მთელ საქართველოში იკრიფებოდა.

1933 წელს ნატანების კოლმეურნეობას მოუკრეფია 138 ტონა ჩაის ფოთოლი, ახლა მარტო ამ კოლმეურნეობის ერთი ბრიგადა სეზონში კრეფს 160 ტონამდე ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. მაშინ ამ კოლმეურნეობაში გამწვანდა ძალად 36 ჰექტარი ბაკადა, ახლა ორმოცამდე ტრაქტორი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა აქვთ. ჩაის პლანტაციაში ადამიანს შრომას უმსუბუქებს საოცრად ჭკვიანი მანქანა „საქართველო“.

ნაყოფიერმა შრომამ და სწავლამ სოფლად ახალი ადამიანები, ახალი სახელები წარმოშვა.

როცა ასეთ მიღწევებზე ვფიქრობთ და ვმსჯელობთ, მუდამ თვალწინ გვიდგას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ჩვენი ყველა წარმატების სათავე. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ლენინის წინადადებით რევოლუციის გამარჯვების მეორე დღესვე გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ. გამოცხადდა მიწის ნაციონალიზაცია და ამით სამუდამოდ გადაიჭრა მშრომელი გლეხობისათვის ყველაზე საარსებო, ყველაზე საჭირო საკითხი.

1919 წელს ვ. ი. ლენინმა სიტყვა წარმოთქვა სამიწამთქმედო კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების დელეგატთა პირველ ყრილობაზე. მაშინ ამ გაერთიანებებს სულ მცირე და შეუმჩნეველი ადგილი ეჭირათ ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის გვერდით. მაგრამ ბელადის გენიამ ამ კომუნებსა და არტელებში დაინახა ახალი წყობილების, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის მძლავრი და მზარდი ყლორტები. პატრა და ხელისუფლება, რომლებმაც განსორციელეს მიწის ნაციონალიზაცია, გადაკეთეს იგი საყოველთაოსახალხო კუთვნილებად და ასეთ მილიონობით ჰექტარი მიწის სავარგულები გადასცეს გლეხობას, ითვალისწინებდნენ, რომ ძირეული ცვლილებანი სოფლის ცხოვრებაში შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ და მხოლოდ კოოპერირების საფუძველზე. ლენინის კოოპერაციის გეგმა ნიშნავდა ეილიჩოვის ფრილი მეურნეობის გარდაქმნას მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, მშრომელი გლეხობის ჩაბმას სოციალიზმის მშენებლობაში.

სკკპ XV ყრილობამ, რომელსაც სამართლიანად ეწოდება კოლექტივიზაციის ყრილობა, უპირველეს ამოცანად დაისახა წვრილ გლეხურ მეურნეობათა თანდათანობით გადაყვანა მსხვილი სოციალისტური წარმოების გზაზე, მიიღო დადგენილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაშლის შესახებ. ვისაც მონაწილეობა მიუღია ამ დიდ პოლიტიკურ ღონისძიებაში, ალბათ კარგად ახსოვს, რომ ბევრმა პარტიულმა, კომკავშირულმა, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკმა არა მარტო ძალღონე, არამედ სიცოცხლეც არ დაიშურა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანისათვის. პარტიის ბრძნული დირექტივების განსახორციელებლად.

პირველი რკინის მხედრები

ჯ ახმეისკენ თუ გიმგზავრიათ, ნახავდით — სიღნაღისკენ მიმავალი გზის პირას მელაანსა და ნუკრიანს შუა ავარცხლბეკზე ამაყად დგას ჯალმოსდილი, დიდად ნაჯაფი პირველი ტრაქტორი. ეს ცოცხალი ძეგლია იმ დიდი, მეშმარიტად რევოლუციური ბრძოლისა და შრომისა, რომელმეურნეობის მევენახე ილია გაჩიჩილაძე, ქობულეთის ჩაიის ხუფუნების კოლმეურნეობის მეჩაიე ასმათ ჯიჯაგაძე, ხელვაჩაურის რაიონის სარფის კოლმეურნეობის წევრი მიხეილ კახაიძეში, ლაგოდეხის რაიონის ვეტერანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლეონიდ დობრონრავი; საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანები — სოფიო ბაზანდარაშვილი, გური სარაია, ილარიონ შაია, ზოსრა ორუჯევა, ალექსანდრე მაჰარაშვილი, გრიგოლ ჭელიძე, მარტიროს სარძისიანი, სვეტ კბილოვი.

სტუდენტებთან საუბარში გ. საჯაიამ გაიხსენა ჩაის კრეფის „ჯადოქარი ქიონია სარსანია. მისი გამარჯვების საიდუმლოება, — თქვა მან, — იყო დაუღალავი შრომა, მუდამ ახლის ძიება. ამ ხელმარჯვე ქალმა ჩაის ბუჩქებს გაუგო ყველა საიდუმლოება. მან იცოდა, რომელი ნაკვეთისათვის როგორ უნდა მოეკლოთ. სად იყო საჭირო სასუქების, შეტანა, რა რაოდენობით და რამდენჯერ. მისი პლანტაციები ყოველთვის გუოდასმით იყო მოვლილი. დუყები ერთად იფუთქებდნენ ხოლმე, და მაშინ ქიონია ელვის სისწრაფით კრეფდა მათ, ისე სწრაფად აესებდა კალათებს, რომ ბრიგადის წევრები გადაზიდვას ვერ აუდიოდნენ. ჩაის ფოთლის ასეთი ჩქარი ტემპით კრეფა აუცილებელია იმისათვის, რომ შეანარჩუნებულ იქნას პროდუქციის მაღალი ხარისხი.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეჩაიე კოლმეურნე ქიონია სარსანია თავის მდიდარ გამოცდილებას სიამოვნებით უზიარებდა ახალგაზრდებს და უხარიდა, როცა მისი მიმდევრები შრომაში მხარს გაუსწორებდნენ.

ქიონია სარსანია არა მარტო ჩაის ფოთლის პირველი ტბასანოველი მკრეფავი, არა მარტო ახალგაზრდობის კარგი მასწავლებელი და მეგზარი იყო, არამედ ის იყო აგრეთვე მეჩაიეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი პირველი ინიციატორი და ორგანიზატორი.

ასეთივე სახელოვანი ქალი იყო სოფიო მარიდაშვილი — ბაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანის დიდი ოსტატი.

ისევე, როგორც მრეწველობაში სტახანოველთა რეკორდებმა ახალი ფურცელი ჩაწერეს სოციალისტური შეჯიბრების ნათელ ისტორიაში, ასე იყო სოფლადაც. ახალმა რეკორდებმა იფეთქეს მეჩაიეობასა და მევენახეობაში, მემინდვრეობასა და მეძროეობაში, მეცხოველეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში.

სოფიო მარიდაშვილმა ბაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი მოიყვანა, ჩოქოლი ქვაჩახიამ — სიმინდისა, პროკოფი სვანიძემ — თამბაქო დაახვავა, დარეჯან ტაკიძემ — ჩაის ფოთოლი, მიხეილ მექვეერიშვილმა — ყურძენი და ფვინო... და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენნი ისახელა თავი, რამდენნი კოლმეურნენ, უხვი მოსავლის ოსტატმა დაიმშვენა მკერდი სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავვით, ორდენებითა და მედლებით.

ეს ცხოვრების დიდი სკოლაა. სწორედ ცხოვრების ეს სკოლა, მისი წარსული, აწყოო და მომავალი გააცნეს ახალგაზრდებს სახელმოხვეჭილმა, ამაგდარმა ძველი თაობის ადამიანებმა, საკოლმეურნეო მშენებლობის სახელოვანმა ვეტერანებმა.

— სოციალისტური სოფლის პირველმა მშენებლებმა, — განაცხადა შეხვედრაზე საქართველოს წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მიმოსა კაკულიამ, — ახალი წყობილების შექმნა თითქმის ცარიელი ხელით დაიწყეს. ისინი მამაპაპური კაკითა და გუთნით, თოსითა და ბარით ჩიჩქნიდნენ და დაეინებით ებრძოდნენ გვალვასგან დამსუდარ, გაჯიუტებულ მიწას. საბჭოთა ადამიანები მხოლოდ ასეთი გულწრფელი, შეუბოვარი ბრძოლითა და შრომით მოვიდნენ თანამედროვე ეპოქამდე, როცა საკოლმეურნეო მიწებზე გუგუნებენ მძლავრი ტრაქტორები და კომბაინები, მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანები და სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები.

ჩვენ, სტუდენტ ახალგაზრდობას, კარგად გვესმის ყოველივე ეს და დაუღალავად შეროშოთ ისისათვის, რომ მაქვს დაწყებული დიდი საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

ინსტიტუტის სასწავლო-მატერიალური ბაზა — მისი შესანიშნავი კაბინეტ-ლაბორატორიები, ფართო და ნათელი აუდიტორიები, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები — ყველაფერი ეს ხელს გვიწყობს დავიუფლოთ მეცნიერების მწვერვალებს. ჩვენს გვაძლს ჩვენი სოციალისტური ვალდებულებანი, ეს არის ვისწავლოთ მხოლოდ წარჩინებით.

ვეტერანი კოლმეურნეები ინსტიტუტში გაეცნენ ქართველი მეცნიერების მიერ გამოყვანილ ახალი ჯიშის ყურძენს. ინსტიტუტის რექტორმა ი. სარიშვილმა ახალგაზრდა კადრების აღზრდაში დიდი როლი მიაკუთვნა ძველ, გამოცდილ ადამიანებთან ასეთ საქმიან შეხვედრებს.

— მეცნიერების დაუფლებასთან ერთად, — აღნიშნა მან, — დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის დაინტერესებას პრაქტიკული შრომით. ეს ზრდის სტუდენტის პასუხისმგებლობას. წინაპრების გმირული შრომისა და ბრძოლის მაგალითი ის ძალაა, რომელსაც ყოველთვის ჰყავს მიმდევარი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მამათა დაწყებული საქმის განმგრძობი. ჩვენ ვცდილობთ ინსტიტუტიდან გამოვუშვათ ყოველმხრივ მომზადებული, სოფლის მეურნეობის გარდამქმნელი, მისი აღმავლობისათვის მტკიცედ მებრძოლი კადრები, ისეთი სპეციალისტები, რომლებიც მთელ თავიანთ ძალღონეს და გამოცდილებას მოახმარენ საკოლმეურნეო მშენებლობის დიდი ტრადიციების განვითარებას.

წინსვლის მძლავრი გერკეტი

ვ ეგმის შემოშავების შემდეგ კოლმეურნეები აწონ-დაწონიან ხოლმე თავიანთ შესაძლებლობებს, ღრმა ანალიზს გაუკეთებენ გასული წლის შედეგებს, მოწინავეთა გამოცდილებას, აამოქმედებენ ყველა რეზერვს და მეურნეობის უკეთ წარმართვისათვის, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეტი დოვლათის შესაქმნელად შეიმუშავებენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

და, აბრიგად, მარტო გეგმას კი არა, ვალდებულებასაც კანონის ძალა ეძლევა სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისათვის.

სწორედ ამ გადიდებულ ვალდებულებათა შესრულების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა.

დგება ახალი სამეურნეო წელი, შემუშავდება ახალი გეგმები, ახალი ვალდებულებანი, და სოფლად, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ადამიანები იწყებენ შეუპოვარ შრომას... ისინი ფართოდ იყენებენ მოწინავეთა გამოცდილებას, მეცნიერების მიღწევებს, სოციალისტური შეჯიბრების ნაკად მეთოდებს.

მოსავლის სიუხვისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან ცალკეული ადამიანები, რგოლები, ბრიგადები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რაიონები... სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის საზღვრასაც სცილდება. და ამრიგად იგი არა მარტო საბრთო ზინსვლის მძლავრი ფაქტორი ხდება, არამედ ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ოჯახის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას განამტკიცებს და აკლიერებს.

— ბევრი რამ ახალი შეგვძინა ჩვენ, მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, გენინსკელებთან ფიდა მეგობრობამ, რომელსაც საფუძვლად უდევს ამ ორ რაიონს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, — განაცხადა სტუდენტებს ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავვით, ორდენებითა და მედლებით.

ეს ცხოვრების დიდი სკოლაა. სწორედ ცხოვრების ეს სკოლა, მისი წარსული, აწყოო და მომავალი გააცნეს ახალგაზრდებს სახელმოხვეჭილმა, ამაგდარმა ძველი თაობის ადამიანებმა, საკოლმეურნეო მშენებლობის სახელოვანმა ვეტერანებმა.

— სოციალისტური სოფლის პირველმა მშენებლებმა, — განაცხადა შეხვედრაზე საქართველოს წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მიმოსა კაკულიამ, — ახალი წყობილების შექმნა თითქმის ცარიელი ხელით დაიწყეს. ისინი მამაპაპური კაკითა და გუთნით, თოსითა და ბარით ჩიჩქნიდნენ და დაეინებით ებრძოდნენ გვალვასგან დამსუდარ, გაჯიუტებულ მიწას. საბჭოთა ადამიანები მხოლოდ ასეთი გულწრფელი, შეუბოვარი ბრძოლითა და შრომით მოვიდნენ თანამედროვე ეპოქამდე, როცა საკოლმეურნეო მიწებზე გუგუნებენ მძლავრი ტრაქტორები და კომბაინები, მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანები და სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები.

ჩვენ, სტუდენტ ახალგაზრდობას, კარგად გვესმის ყოველივე ეს და დაუღალავად შეროშოთ ისისათვის, რომ მაქვს დაწყებული დიდი საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

ინსტიტუტის სასწავლო-მატერიალური ბაზა — მისი შესანიშნავი კაბინეტ-ლაბორატორიები, ფართო და ნათელი აუდიტორიები, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები — ყველაფერი ეს ხელს გვიწყობს დავიუფლოთ მეცნიერების მწვერვალებს. ჩვენს გვაქვს ჩვენი სოციალისტური ვალდებულებანი, ეს არის ვისწავლოთ მხოლოდ წარჩინებით.

ვეტერანი კოლმეურნეები ინსტიტუტში გაეცნენ ქართველი მეცნიერების მიერ გამოყვანილ ახალი ჯიშის ყურძენს. ინსტიტუტის რექტორმა ი. სარიშვილმა ახალგაზრდა კადრების აღზრდაში დიდი როლი მიაკუთვნა ძველ, გამოცდილ ადამიანებთან ასეთ საქმიან შეხვედრებს.

— მეცნიერების დაუფლებასთან ერთად, — აღნიშნა მან, — დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის დაინტერესებას პრაქტიკული შრომით. ეს ზრდის სტუდენტის პასუხისმგებლობას. წინაპრების გმირული შრომისა და ბრძოლის მაგალითი ის ძალაა, რომელსაც ყოველთვის ჰყავს მიმდევარი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მამათა დაწყებული საქმის განმგრძობი. ჩვენ ვცდილობთ ინსტიტუტიდან გამოვუშვათ ყოველმხრივ მომზადებული, სოფლის მეურნეობის გარდამქმნელი, მისი აღმავლობისათვის მტკიცედ მებრძოლი კადრები, ისეთი სპეციალისტები, რომლებიც მთელ თავიანთ ძალღონეს და გამოცდილებას მოახმარენ საკოლმეურნეო მშენებლობის დიდი ტრადიციების განვითარებას.

ზინსვლის მძლავრი გერკეტი

ვ ეგმის შემოშავების შემდეგ კოლმეურნეები აწონ-დაწონიან ხოლმე თავიანთ შესაძლებლობებს, ღრმა ანალიზს გაუკეთებენ გასული წლის შედეგებს, მოწინავეთა გამოცდილებას, აამოქმედებენ ყველა რეზერვს და მეურნეობის უკეთ წარმართვისათვის, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეტი დოვლათის შესაქმნელად შეიმუშავებენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

და, აბრიგად, მარტო გეგმას კი არა, ვალდებულებასაც კანონის ძალა ეძლევა სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისათვის.

სწორედ ამ გადიდებულ ვალდებულებათა შესრულების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა.

დგება ახალი სამეურნეო წელი, შემუშავდება ახალი გეგმები, ახალი ვალდებულებანი, და სოფლად, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ადამიანები იწყებენ შეუპოვარ შრომას... ისინი ფართოდ იყენებენ მოწინავეთა გამოცდილებას, მეცნიერების მიღწევებს, სოციალისტური შეჯიბრების ნაკად მეთოდებს.

მოსავლის სიუხვისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან ცალკეული ადამიანები, რგოლები, ბრიგადები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რაიონები... სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის საზღვრასაც სცილდება. და ამრიგად იგი არა მარტო საბრთო ზინსვლის მძლავრი ფაქტორი ხდება, არამედ ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ოჯახის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას განამტკიცებს და აკლიერებს.

— ბევრი რამ ახალი შეგვძინა ჩვენ, მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, გენინსკელებთან ფიდა მეგობრობამ, რომელსაც საფუძვლად უდევს ამ ორ რაიონს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, — განაცხადა სტუდენტებს ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავვით, ორდენებითა და მედლებით.

ეს ცხოვრების დიდი სკოლაა. სწორედ ცხოვრების ეს სკოლა, მისი წარსული, აწყოო და მომავალი გააცნეს ახალგაზრდებს სახელმოხვეჭილმა, ამაგდარმა ძველი თაობის ადამიანებმა, საკოლმეურნეო მშენებლობის სახელოვანმა ვეტერანებმა.

— სოციალისტური სოფლის პირველმა მშენებლებმა, — განაცხადა შეხვედრაზე საქართველოს წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მიმოსა კაკულიამ, — ახალი წყობილების შექმნა თითქმის ცარიელი ხელით დაიწყეს. ისინი მამაპაპური კაკითა და გუთნით, თოსითა და ბარით ჩიჩქნიდნენ და დაეინებით ებრძოდნენ გვალვასგან დამსუდარ, გაჯიუტებულ მიწას. საბჭოთა ადამიანები მხოლოდ ასეთი გულწრფელი, შეუბოვარი ბრძოლითა და შრომით მოვიდნენ თანამედროვე ეპოქამდე, როცა საკოლმეურნეო მიწებზე გუგუნებენ მძლავრი ტრაქტორები და კომბაინები, მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანები და სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები.

ჩვენ, სტუდენტ ახალგაზრდობას, კარგად გვესმის ყოველივე ეს და დაუღალავად შეროშოთ ისისათვის, რომ მაქვს დაწყებული დიდი საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

ინსტიტუტის სასწავლო-მატერიალური ბაზა — მისი შესანიშნავი კაბინეტ-ლაბორატორიები, ფართო და ნათელი აუდიტორიები, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები — ყველაფერი ეს ხელს გვიწყობს დავიუფლოთ მეცნიერების მწვერვალებს. ჩვენს გვაქვს ჩვენი სოციალისტური ვალდებულებანი, ეს არის ვისწავლოთ მხოლოდ წარჩინებით.

ვეტერანი კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტების შეხვედრის დასასრულს ახალგაზრდებმა — ორიოდე საათის წინ ლაბორატორიებში მარცვლეულის, ყურძნის, ხილის, ჩაის ახალი ჯიშების გამოყვანის შესახებ პრაქტიკულ ცდებს რომ აყენებდნენ, როზეებიც ამ მეცნიერების ტაძარში მთელი არსებით ემზადებიან იმისათვის, რომ სიახლე შეიტანონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში, სტუმრებს უჩვენეს თავიანთი ხელოვნებაც, უჩვენეს, რომ ჩვენს ახალგაზრდობას შრომაც უყვარს და დასვენებაც.

მეცრდნენ ხმაურიანობილად — ტკბილად, ქართველურად. ცეკვავდნენ ნაზად და ომახიანად... ასეთია ჩვენი ქვეყანა, ასე ზრდის, აწრთობს იგი ყოველმხრივ განვითარებულ, შრომისმოყვარე და სამშობლოსათვის, ხალხისათვის თავდადებულ მომავალ თაობას.

ალალი იყოს მათთვის ქვეყნისა და პარტიის ზრუნვა, საქართველოს ნათელი ცისა და მზურვალე მზის მადლი.

გ. თათარიშვილი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ი. სარიშვილი (მარცხნივ) ესაუბრება საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანებს.

სურათზე: სხდომის დარბაზში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ აღნიშნულია: „სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გულმოდგინედ უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ გაზარდონ პროდუქციის წარმოება და შეამცირონ თვითღირებულება, გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, გაზარდონ საკვების წარმოება და დამზადება, განამტკიცონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დააჩქარონ წარმოების ელექტრიფიკაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის ტემპები, გაუმჯობესონ ტექნიკისა და შრომითი რესურსების გამოყენება“.

ეს დიდი პატრიოტული ამოცანაა. იგი რომ შესრულდეს, საჭიროა:

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება — კომუნისტური მშენებლობის მძლავრი ფაქტორი, ვამრავლოთ საქართველოს კოლმეურნეთა მაღალნაყოფიერი შრომის სახელოვანი ტრადიციები!

სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური შეჯიბრება შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის გაძლიერებისათვის!

ვიბრძოლოთ მეცხრე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის!

დამთავრდა ა. ნ. კოსიგინის ვიზიტი მაროკოში

კასაბლანკა, 11 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მაროკოს ფოდფისი ქალაქის — კასაბლანკის მეხუთრეგნი გამოვიდნენ 9 ოქტომბერს ქეფრებში, რათა მისალმებოდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

საზეიმო შეხვედრა მოეწყვეს საპატიო სტუმრის პრეზიდიუმის მოედანზე. აქ ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, ხალხური მუსიკოსები ასრულებდნენ ეროვნულ მელოდიებს.

ა. ნ. კოსიგინი პრინც მოლაი აბდალაჰთან ერთად მივიდა დარბაზში, სადაც შეკრებილი იყვნენ ქალაქის ხელმძღვანელობა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ადრეთვე ეროვნული სახელმწიფოთა კონსულები.

დარბაზობის დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოკლე სიტყვით მიმართა კასაბლანკის გუბერნატორმა მუსტაფა ბენ ლარბი ალაუიმ. საპასუხო სიტყვაში ა. ნ. კოსიგინმა საბჭოთა კავშირის ხალხთა სალამი გადასცა, დიდი წარმატებანი უსურვა კასაბლანკის მეხუთრეგლებს, მთელ მაროკოელ ხალხს.

საპატიო სტუმრმა ხელი მოაწერა ქალაქის საპატიო სტუმართა წიგნში.

კასაბლანკაში ყოფნის დროს ა. ნ. კოსიგინმა დაათვალიერა საავტომობილო ქარხანა „სომაკის“ საამქროები, სადაც უშვებენ მსუბუქ და სატვირთო ავტომანქანებს, ადრეთვე ტრაქტორებს.

შემდეგ ა. ნ. კოსიგინი მივიდა კასაბლანკის ნავსადგურში, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია აფრიკაში.

საღამოს საბჭოთა სტუმრები რაბათში დაბრუნდნენ.

რაბათი, 11 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მაროკოს პრემიერ-მინისტრმა **მოჰამედ ქარიმ ლამრანიმ** 9 ოქტომბერს სოფიოს სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. **კოსიგინის** პატივსაცემად.

სადილზე ა. ნ. კოსიგინთან ერთად იყვნენ მისი თანმხლები პირები.

მაროკოს მხრივ სადილზე იყვნენ მინისტრები, საპატიო კომიტეტის წევრები და სხვა სახელმწიფო მოღვაწენი.

მოჰამედ ქარიმ ლამრანიმ და ა. ნ. კოსიგინმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

რაბათი, 10 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დღეს საუზმე გამართა მაროკოს მთავრობის პატივსაცემად.

მაროკოს მხრივ საუზმეზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი მოჰამედ ქარიმ ლამრანი, მინისტრები და სხვა სახელმწიფო მოღვაწენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ა. ნ. კოსიგინის თანმხლები პირები, სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლები.

სტუმრებს შორის იყვნენ უცხოელი დიპლომატები.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ა. ნ. კოსიგინმა.

ა. ნ. კოსიგინის სიტყვა

ჩვენ უდავოდ სასარგებლოდ მიგვაჩნია ამ დღეებში გამართული გულახდილი და კონსტრუქციული აზრთა გაზიარება მეფე ჰასან II-სთან და მაროკოს მთავრობასთან ჩვენი ქვეყნების ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და ბევრ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე. ჩვენ მივესალმებით იმას, რომ საერთო აზრი გვაქვს მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ, რასაც მოწმობს აგრეთვე ახალი დოკუმენტების ხელმოწერა საბჭოთა კავშირსა და მაროკოს შორის თანამშრომლობის გაფართოების თაობაზე. საბჭოთა კავშირ-მაროკოს მეგობრული ურთიერთობის განვითარება სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ქმედითობის კიდევ ერთი მაგალითია.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა აფასებს კარგ ურთიერთობას, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირსა და მაროკოს, როგორც არაბული ქვეყნების ხალხთა მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრს, შორის. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმას, რომ ჩვენი ურთიერთობა ხალხთა პროგრესის საქმეს, მშვიდობის საქმეს ემსახურება.

თქვენი სახელმწიფო, ისე როგორც ბევრი სხვა სახელმწიფო მსოფლიოს ამ რაიონში, დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად. საბჭოთა ხალხი მსურველად მიესალმა მაროკოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინებას. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ეს არის გამოვლინება მაროკოელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილების და მისწრაფებისა დამოუკიდებელი მოქმედებისადმი როგორც თავისი ქვეყნის საქმეებში, ისე საერთაშორისო ცხოვრებაში. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ეს ერთ-ერთი გამოვლინებაა მთელი აფრიკის კონტინენტის ხალხთა ნებისა, რომლებმაც მოიშორეს კოლონიალიზმის უღელი და მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადეს, რომ უფლება აქვთ იყვნენ თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი, იყვნენ ახალი ცხოვრების შემოქმედნი. საბჭოთა ხალხს თავის მოვალეობად მიაჩნია ყოველი დონისძიებით დაუჭიროს მხარი სხვა ხალხების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, თანასწორუფლებიანი მდგომარეობისათვის მსოფლიოში.

წარსული თვიდან მეთოთხმეტე წელი დაიწყო ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მომენტიდან. განვლილი წლების მანძილზე შეგძელით ბევრი რამ გაგვიკეთებინა საბჭოთა კავშირ-მაროკოს მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირსა და მაროკოს შორის არსებობს ურთიერთგაგება საკმაოდ ბევრ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე, იზრდება თანამშრომლობა ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში. ხელმძღვანელობს რა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპებით, საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს მაროკოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში.

საბჭოთა კავშირი როგორც არაბული ქვეყნების ხალხთა მეგობარი ესწრაფვის იმას, რომ საბჭოთა კავშირ-მაროკოს თანამშრომლობა ემსახუროდეს ახლო აღმოსავლეთში ვითარების ნორმალიზაციის, ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის საქმეს. ყოველი ღონისძიებით ვუჭერთ რა მხარს არაბული ქვეყნების სამართლიან ბრძოლას აგრესიის წინააღმდეგ, პრობლემად, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს, მიგვაჩნია ის, რომ ისრაელის ჯარები მოლიანად იქნან გამოყვანილი ყველა მიტაცებული არაბული ტერიტორიიდან. უამისოდ შეუძლებელია შეიქმნას პირობები ახლო აღმოსავლეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის, რომელიც შეესაბამება მტკიცე მშვიდობის ინტერესებს, ამ რაიონის ყველა ქვეყნის ინტერესებს.

მდგომარეობა აქ კვლავ საშიში რჩება, იგი კონფლიქტის გაძლიერების საფრთხეს შეიცავს. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის კეთილი ნების მიუხედავად, რაც მან მშვიდობიანი მოწესრიგების გზების ძიების მსოფლიოში გამოირჩინა, მოწესრიგების საქმეში წინსვლის შესაძლებლობას წინააღმდეგობრივად გზას უხშობს ისრაელის მმართველი წრეების აგრესიული პოზიცია. ისრაელის მთავრობის ვერავითარი ტაქტიკური მანევრი და ფანდები ცეცხლის შეწყვეტის ან სუეცის არხის ბლოკადის მოხსნის საკითხებში ვერ დაუმალეს მსოფლიო საზოგადოებრიობას დამპყრობის ნამდვილ ზრახვებს, რაკი ისრაელი უარს ამბობს ცნოს ოკუპირებული არაბული ტერიტორიების სრული განთავისუფლების პრინციპი.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ არაბ ხალხთა სამართლიანი ბრძოლა ისრაელი აგრესორებისა და მათი იმპერიალისტი მფარველების წინააღმდეგ არაბთა სამართლიანი საქმის გამარჯვებით დაგვირგვინდება. ამ გამარჯვების მოახლოებას უნდა ემსახურებოდეს არაბი ხალხების შეკავშირება აგრესიისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს სოლიდარობის განმტკიცება არაბულ ქვეყნებთან.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფოების პატიოსანი თანამშრომლობა საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში. ჩვენთვის უცხოა საგარეო პოლიტიკა, რომელიც დამყარებული იქნებოდა კონიუნქტურულ ვარაუდებზე, იმ ვარაუდებზე, რომ საერგებლობა მიგვეღო სხვა ქვეყნების ურთიერთობაში დაძაბულობის შექმნის გზით, მათი ერთმანეთთან წაკიდების გზით. ასეთი პოლიტიკა ძირს გამოუთხრიდა საერთაშორისო თანამშრომლობას და საბოლოო ანგარიშით გარდუვალად შებრუნდებოდა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც დაენებით დაიცავდა მის განხორციელებას.

ჩვენ მივესალმებით ურთიერთგაგებას, რომელიც გვაქვს მაროკოს მხარესთან საერთაშორისო ურთიერთობის ამ დიდმნიშვნელოვან საკითხში.

ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს მეფე ჰასან II-ეს გაუმეორა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის თხოვნა ეწვიოს საბჭოთა კავშირს. მეფემ თანხმობა განაცხადა. სსრ კავშირის მთავრობის სახელით საბჭოთა კავშირში მოწვევა გადაეცა პრემიერ-მინისტრ მ. ლამრანის. ამ მოწვევას იგი მადლობით დათანხმა.

ა. ნ. კოსიგინმა წარმოთქვა საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობისა და საბჭოთა კავშირსა და მაროკოს შორის თანამშრომლობის განვითარების სადღეგრძელო.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მაროკოს პრემიერ-მინისტრმა მოჰამედ ქარიმ ლამრანიმ, რომელმაც მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირში მიწვევისათვის.

მ. ლამრანის სიტყვა

დამოუკიდებლობის მიღწევის მომენტიდან მაროკო მზად არის იქონიოს საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ურთიერთობა, დაფუძნებული ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების და საერთაშორისო თანამშრომლობისადმი რწმენის პრინციპებზე.

დროთა განმავლობაში ეს ნაყოფიერი ურთიერთობა განუწყვეტლივ ვითარდებოდა და არავითარი ეჭვი არ არის, რომ ოფიციალური ვიზიტების გაცვლა ყოველნაირად უწყობს ხელს ამ განვითარებას. ჩვენ ამაში დავრწმუნდით მისი უდიდებულესობის მეფე ჰასან II-ის მოსკოვში 1966 წლის ვიზიტის პოზიტიური და დამაჯერებელი შედეგების მიხედვით, ვიზიტის, რომელიც ორ ქვეყანას შორის ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარების საწყისი მომენტი იყო.

სწორედ ასევე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის 1969 წლის ვიზიტმა მაროკოში ახალი წვლილი შეიტანა ამ თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში და ახალი სტიმული მისცა მას.

მე ვფიქრობ, არ შევცდები, თუ განვაცხადებ, რომ საბჭოთა კავშირისა და მაროკოს ურთიერთობა ამჟამად წარმოადგენს ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და პოზიტიური თანამშრომლობის სანიმუშო მაგალითს ცხოვრების სულ სხვადასხვა დარგში — იქნება ეს ინტელექტუალური და ადამიანთა კონტაქტები, ეკონომიური და სავაჭრო გაცვლა თუ მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობა.

ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა იზრდება და მტკიცდება მით უფრო, რომ პოლიტიკური პლანით ჩვენი თვალსაზრისი ერთმანეთს ჰგავს ან ემთხვევა ბევრ პრობლემაზე, რომლებიც ერების გაერთიანებას შეეხება.

მართლაც, ჩვენი მთავარი საზრუნავია შეინარჩუნოთ მშვიდობა და უშიშროება მთელ მსოფლიოში სამართლიანობისა და ხალხთა იმ ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, რომ ეფუძნებოდეს ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს. ეს ის ფაქტორია, რომელიც, ვფიქრობ, ადამიანთა ბედს, ადამიანთა ბედნიერებას ეხება

ზაქარია ფალიაშვილის საიუბილეოდ

პირველი შეხვედრა „დაისთან“...

ჩვენს ოჯახს ფალიაშვილებთან ახლო ნათესაობა აკავშირებდა, ხოლო ჩემს ბიძაშვილს ლევან გოკიელს, ამჟამად სახელმოხვეჭილსა და ცნობილ მათემატიკოსს, ზაქარია დედის მხრივ ბიძად ერგებოდა. სწორედ თავისი დეიდაშვილის, მაროს სიყვარულისა და პატივისცემის გამო დაარქვა მან „დაისის“ გმირ ქალს მარო, რასაც თვით ზაქარია არაერთხელ აღნიშნავდა ხოლმე.

ბავშვობისას ფალიაშვილებს ხშირად ვხედებოდით ზაფხულობით წალენჯიხაში, ემეგობრობდი პატარა ირაკლისთან, რომელიც ერთობ გონებაგახსნილი, მგრძნობიარე და მდიდარი ფანტაზიის მქონე ბავშვი იყო. რა და რანაირ თამაშებს არ იგონებდა. სწორედ ნორჩი ირაკლის უდროოდ დაკარგვამ განაცდევინა ზაქარიას უღრმესი ნაღვლელი და სევდა, გამოსტაფული „აბესალომ და ეთერის“ უკვდავ ჰანგებში.

სტუდენტობისას ფალიაშვილების მრავალრიცხოვანი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდით.

განსაკუთრებით გვიყვარდა, როდესაც ძია ზაქრო როიალს მიუჯდებოდა და იწყებდა იმპროვიზაციას. გავბედავ და ვიტყვი, რომ გენიალური იმპროვიზაციები იყო, ნეტავ ჩაეწერათ! ხანდახან, ზაქარია განზრახ შიგ ჩაურევდა ორიოდე ტაქტს „აბესალომის“ რომელიმე ადგილიდან და შემდეგ აღრმავებდა, ავითარებდა მას სულ სხვანაირად, ახლებურად. ლევანი და მე ერთმანეთს ეშმაკურად გადავხედავდით ხოლმე, რაც ზაქარიას გამჭრიახ მზერას არასოდეს არ გამოეპარებოდა, „რას აფრთხიალდით, თქვე კუდრაჭებო, ხომ არ გეცნაურათ რამე?“ სიცილით გვკიხსავდა ხოლმე, რადგან, ცხადია, ეს ჩვენს გამოსაცდელად და გამოსაჯავრებლად გაკეთდა.

...როდესაც „ზაქრო ძიამ“, როგორც მას ვეძახდით, გამოვიცხადა, რომ მიყყავართ თეატრში „დაისის“ გენერალურ რეპეტიციაზე, ჩვენს სიხარულსა და ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა... და აი ერთგული საჭურველმტვირთველებივით ვუსხედვართ ზაქარიას აქეთ-იქით საოპერო თეატრის ამფითეატრის საგარლებში, რადგან იქიდან მოისურვა დიდმა კომპოზიტორმა თავისი ახლად შექმნილი ოპერის მოსმენა.

რისთვის წამოგვიყვანა და გვერდითაც მოგვისვა? — მე მგონი ეწადა შეეფიწებინა ჩვენს უშუალო ნორჩსა და წრფელ გრძნობებზე თავისი უკვდავი მუსიკის ძალა... სულგანაბულნი ვუსმენდით „დაისის“ შესავალს — „რა კარგია, ზაქარია ძია, რა მშვენიერია!“ — ჩავიჩურჩულეთ და მყისვე შეგვაწყვეტინა: „უსმინეთ და ხმა არ ამოიღოთ“, მაგრამ როცა გაისმა „დაისის“ ცნობილი სცენკვაოს ქართულ ჩექურთმასავით ხვეული, მსუბუქი და ჰაეროვანი ჰანგი, ხოლო შემდეგ მას მალე მოჰყვა ვანო სარაჯიშვილის მიერ შესრულებული „თავო ჩემო“, თავი ვეღარ შევიკავეთ და შევუერთდით საზოგადოების მქუხარე ტაშს.

ანტრაქტში ზაქარიამ დირიჟორის კაბინეტისაკენ წაგვიყვანა, სადაც თავისი ძმა ვანო ფალიაშვილი ელოდებოდა.

— იქ რომ მაესტროო გიწერია, — რაგომ ვერე არ დაუკარი? — დატუქსვის კილოთი მიმართა ძმას ზაქარიამ.

— ასე არა სჯობს?

— ისე სჯობს, როგორც მე დავწერე, და ხვალ მაესტროო თავის ადგილას იყოს!

ვანომ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ჩუმად ჩაიცინა და ჩვენ თვალი ჩაგვიკრა, ვითომ „ხედავთ ზაქარიას არაფერი გამოეპარებაო“. რაოდენ სიყვარულით, პატივისცემითა და მოკრძალებით უცქერდა ვანო ფალიაშვილი თავის დიდებულ ძმას!.. ოთახში შემოვიდა ვანო სარაჯიშვილი, უსაზღვროდ ლამაზი და მიმზიდველი მალხაზის თეთრ ჩოხაში. ზაქარიამ გადაკოცნა იგი და გამარჯვება მიულოცა: „თავო ჩემომ ხომ უკვე ოვაციები გამოიწვია“.

დარბაზში დაბრუნებისას ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი სახელოვანი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი შემოგვხვდა, მოკრძალებით მივესალმეთ, განზე გავდექით და უზომოდ ჩვენი ადგილებისაკენ გავეშურეთ.

ხოლო ზაქარია იდგა ივანე ჯავახიშვილის წინ, აღელვებული, თითქოს მსჯავრს, განაჩენს მოელოდაო, ივანე ხომ არა მარტო დიდი ისტორიკოსი, არამედ მუსიკის ღრმა მცოდნე იყო. იგი ღიმილით ესაუბრებოდა ზაქარია ფალიაშვილს და, როგორც ჩანს, მრავალი რამ უთხრა „დაისის“ მუსიკის შესახებ.

სახეგაბრწყინებულმა და სიამოვნებით აღსავსემ დაიკავა ზაქარიამ თავისი ადგილი ამფითეატრში.

სცენა სცენას მისდევდა, ჰანგი ჰანგს, საზოგადოების აღტაცება მატულობდა, ოვაციები ქუხდა, ბოლოს, თავი ვეღარ შევიკავე და, როდესაც გაისმა „მწუხრი დაიწყო“, მწარედ ავქვითინდი. ამ დიდებული დღის სამახსოვროდ ზაქარია ფალიაშვილმა მაჩუქა თავისი ახლად გამოცემული ციკვა „ქართული“ ოპერა „დაისიდან“, ჩემთვის მარად სახსოვარი წარწერით:

„ქართული მუსიკალური ხელოვნების მოტრფიალ შაბმანს“.

[illegible]

[illegible]

[illegible]

13/V-25 წ.

რაც რელიკვიად დარჩა ჩემს ოჯახში.

არ მინდა გავიხსენო ზაქარია ფალიაშვილის საბედისწერო ავადმყოფობა, მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები, ვანო ფალიაშვილის გაფითრებული სახე, რომელიც შემდეგ ძმის ჯავრმა გადაიტანა...

ზაქარია ფალიაშვილი როგორც ჩვენი, ისე მომავალ თაობათა მეხსიერებაში დარჩება როგორც „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის“ შემქმნელი ზეშთაგონებით სახეგაბრწყინებული შემოქმედი, ქართული მუსიკის მშვენება და სიამაყე.

ფატი გოკიელი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

საკავშირო ჩემპიონატი ჩოგბურთში

თბილისის კორტებზე



დიდი ჩოგბურთის დღეებია თბილისში. „დინამოს“ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და „განთიადის“ კორტებზე მიმდინარეობს საკავშირო პირად-გუნდური ჩემპიონატი. არა ერთი ასეთი ასპარეზობის მოწმენი ვყოფილვართ ადრე, მაგრამ ახლანდელი პირველობა, როგორც მასობრიობით, ისე შემადგენლობის სიძლიერით, ბევრად გამოირჩევა წინანდელებისაგან. 48 ქალი და 64 ვაჟი ეცილება ერთმანეთს საპრიზო ადგილებს, ასპარეზობა აქვთ აგრეთვე გოგონებსა და ჭაბუკებს. ცალცალკე თამაშდება სასპორტო საზოგადოებათა და მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდური პირველობები. „ოქროს მაძიებელთა“ სპორტული დავა დღითიდღე შეუპოვარი ხდება. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლებს უნდა მოველოდეთ ქალთა ერთეულებს შორის, სადაც ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონს ო. მოროზოვას მეტოქეებად ჰყავს ისეთი აღიარებული ჩოგბურთელები, როგორიც არიან გ. ბაკშევევა, ა. დმიტრიევა და სხვები. პირველ ტურებში დიდი სიურპრიზების მოწმენი არ ვყოფილვართ, 11 ივლისისათვის უკვე ცნობილი იყო მეოთხედფინალისტთა დიდი ჯგუფი.

რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრშია ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონისა და მრავალ საერთაშორისო ტურნირში სახელმოხვეჭილი ჩოგბურთელის ა. მეტრეველის გამოსვლები. ეს გასაგებიც არის. ამ აღიარებული ჩოგბურთელის თამაშით თბილისელები განებივრებული როდი არიან. და აი ახლა მათ საშუალება აქვთ იხილონ ჩვენი თანამემამულის ოსტატობა. როგორც მოსალოდნელი იყო ა. მეტრეველმა ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა. მან დამარცხა მოსკოველები კ. ბუგაევი — 6:2, 6:2, 6:1 და ვ. რუბანოვი — 6:3, 6:3, 6:3, აგრეთვე უკრაინელი ვ. პეტროვი 6:2, 6:1, 6:1. მეოთხედფინალში ჩვენს თანამემამულეს ა. მეტრეველს პაექრობა ეენება მოსკოველ შ. ტარპიშჩევთან.

წარმატებით გამოდის აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი თ. კაკულია. ისევე, როგორც ა. მეტრეველმა, მანაც მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მეტად დაძაბული აღმოჩნდა თ. კაკულიასა და ცნობილი მოსკოველი ჩოგბურთელის ვ. ეგოროვის კვირის ორთაბრძოლა. ეს შეჯიბრება ორნახევარ საათს გაგრძელდა და დამთავრდა თ. კაკულიას გამარჯვებით 3:6, 6:4, 4:6, 6:4, 6:3. ადრე თ. კაკულიამ დამარცხა ვ. ეფიმენკო (ბელორუსია) 6:2, 6:1, 6:1 და მოსკოველი ბ. ლუნინი, 6:0, 6:4, 6:1. მეოთხედფინალში გავიდა აგრეთვე რსფსრ-ის გუნდის წარმომადგენელი ე. ბობოედოვი. მან მოუგო უკრაინელ მ. ერიკოს, ესტონელ პ. ლომპსა და ლენინგრადელ ვ. პალმანს.

ქალთა ერთეულების ასპარეზობაში მეოთხედფინალის საგზურები მოიპოვეს ო. მოროზოვამ, ნ. თუხარელმა, ა. დმიტრიევამ, ლ. ზინკევიჩმა, ვ. ბაკშევევამ, ვ. იზოპაიტისმა, ზ. იანსონემ და ე. ბირიუკოვამ. ნ. თუხარელს მეტად მძიმე ბრძოლა მოელის მეოთხედფინალში. მისი მეტოქე იქნება ო. მოროზოვა.

• • •

სურათზე: თამაშობს ა. მეტრეველი.
ფოტო ბ. კამინსკისა.

ხობი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

გ. ნოდია

● ჩაი, კონსერვები დიდი ქალაქებისათვის ● ტაქსებით, ავტობუსებით
● ახალი პავილიონები, ატელიეებები
● რაიონის ბიბლიოთეკაში

□ **ასეულ** ათასობით ქილა ხობში დამზადებული კონსერვი იგზავნება ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქში. ხობელმა მეკონსერვეებმა ტკბილი და არომატული პროდუქციით მოხიბლეს მომხმარებლები. შორს გაითქვა სახელი აგრეთვე საჭიჯაოსა და ხობის ჩაის ფაბრიკებში დამზადებულმა სურნელოვანმა ქართულმა ჩაიმ. ამ დღეებში საჭიჯაოს და ხობის ჩაის ფაბრიკებში დამზადებული 80 ტონა ჩაი გაიგზავნა პოლონეთში.

□ **რაიონის** ყოფაცხოვრების მტკიცედ დამკვიდრდა მსუბუქი მანქანები. გარდა შიდასარაიონო მარშრუტებისა, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქს უკავშირდებიან ხობის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მანქანები. ავტობუსებისა და ტაქსების მიერ 8 თვეში გადაყვანილია ნახევარ მილიონზე მეტი მგზავრი, ახლახან ჯიხსნა ახალი შიდასარაიონო მარშრუტი ხობი-თორსა. ახლა რაიონში არ არის ისეთი სოფელი, სადაც საავტომობილო მიმოსვლა არ იყოს დაწესებული.

□ **ყოველდღიურად** უმჯობესდება სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება. ამას ხელი შეუწყო სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების მშენებლობამ. საყოფაცხოვრებო მომსახურების თითქმის ყველა ობიექტი აქვთ ხეთას, ჭალადიდს, პირველ მაისს, საჯიჯაოს და სხვა სოფლებს. ნოჯიხვრში ახლახან აშენდა და გაიხსნა 30-ადგილიანი კომბინატის შენობა, შენდება ამბანო. სოფელ ხეთაში მწყობრში ჩადგა ქვის მსატვრული დამუშავების საამქრო, რაიონის ცენტრში კი მოზაიკური ნაწარმის საამქრო.

ახლახან დაიწყო რაიონის ცენტრში 30-ადგილიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობა.

□ **სარაიონო** ბიბლიოთეკა მშრომელთა დასვენების საყვარელი ადგილია. ბიბლიოთეკას მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის ათასობით წიგნი აქვს. მკითხველი აქტივისტები აქ ხშირად აწყობენ კითხვა-პასუხის და თემატურ საღამოებს. იმართება შეხვედრები შრომის და ბრძოლის ვეტერანებთან. ახლახან მოეწყო კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებული გამოფენა, აგრეთვე დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ეწყობა კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებთა ლიტერატურული გარჩევა. ამას წინათ აქ მკითხველებმა მოაწყეს კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენის“ განხილვა.

სურათზე: რაიონის ცენტრში.
ფოტო მ. თათარიშვილისა.

სოფლის ჰეიზაში

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

საკვირველიც, საამწუხაროც...

კოკა წყალზე გატყდა

რამდენიმე წელიწადია ნავთლუღში გახსნილია კეთილმოწყობილი ბაზარი, რომელსაც ხალხი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საკოლმეურნეო ბაზარს უწოდებს. როგორც ყველა თანამედროვე ბაზარში, ისე აქაც არის სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციის მაღაზიები, რომლებიც უნდა მოეხსახურონ სავაჭროდ ჩამოსულ კოლმეურნეებსა და მომხმარებლებს.

თბილმრეწვავაჭრობას ბაზარში გახსნილი აქვს სამრეწველო საქონლის № 71 მაღაზია. მას ჰყავს თავისი გამგე და გამყიდველები, დამხმარე მუშა და სხვა. ერთი სიტყვით, მთელი შტატი, რაც საჭიროა მომხმარებელთა კულტურული მომსახურებისათვის. ამას წინათ მაღაზიამ მიიღო 2000 ცალი ფაიფურის თეფში, რომელზეც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა. ასევე დიდი მოთხოვნილების გამოდგნენ მაღაზიის გამგე ალექსანდრე ამირიძე, გაჩაყიდველი ნაბიევი ზანგური და მუშა ალექსი ნაგლაშვილი.

თვითეული თეფშს უკანა მხარეს ფასი ეწერა. ამან ერთობ ჩაფიქრა მაღაზიის გამგე. იფიქრა, იფიქრა და წამოიძახა: ეკრიკა! ეკრიკა!

— ბიჭო, მოდი აქ, — დაუძახა ალექსი ნაგლიაშვილს, — ამ თეფშებს ხომ უყურებ, ბევრი ფული ხომ გინდა?

— როგორ არ მინდა, ბატონო!

— ადექი, იშოვნე რამე და ფასი გადაფიქეი, მერე ნათელამ იცის.

ფიქეა და ფიქეა საკუჭნაოში ალექსიმ დამოა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მაღაზიის სექციაში გაჩერდა ნათელს და როგორც უნდოდა ისე ჰყიდდა.

კოკა წყალზე გატყდა. ერთ დღეს ნათელა ზანგურმა, როცა 15 მანეთისა და 52 კაპიკის ღირებულების თეფშებში მომხმარებელს 26 მანეთი გადაახდევინა, მილიციის მუშაკებმა დანაშაულზე წაასწრეს.

ასე გატყდა თბილმრეწვავაჭრობის № 71 მაღაზიის მუშაკების კოკა (ამ შემთხვევაში ფაიფურისა) წყალზე.

ფათერაკიანი გასეირნება

იყო და არა იყო რა. იყო სამი ძმაკაცი. ცხოვრობდნენ ერთ უბანში. სულ ერთად იყვნენ. ერთად დაიხეტიბოდნენ, რასაც უნდოდათ აკეთებდნენ, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი?

ერთ მშვენიერ დღეს რუბენმა მანქანის ყიდვა გადაწყვიტა. წინ ვინ დაუდგებოდა, ფული ჰქონდა და სურვილი!

— ავტომობილი მეც მინდა, ძალიან კარგია, ფულიც მაქვს, მაგრამ... არსად არ ვმუშაობ, ვინ მომყიდის, ან ვინ გამიფორმებს? რუბენაც არ მუშაობს, მასაც არ მიჰყიდიან და არც ნომრებს მისცემენ, — თქვა არონმა.

—მარტო ფული რას გიშველის, კაცი მარიფათიანი ხერხიერი უნდა იყოს, გაჭქონდეს და გამოაქონდეს, — თქვა როლანდმა.

ასე თუ ისე, რუბენმა მართლაც მოახერხა მანქანის ყიდვა. ახალი „მოსკვიჩი“ უბანში ყველას მოეწონა, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც არონი და როლანდი ვერ ფარავდნენ სინარულს — მანქანას ასკინკილათი უელიდნენ ბარს.

მიეჯდა რუბენი საჭეს. ჩასხდნენ არონი და როლანდი. სამნი ძმანი პირველად უბანში ბედავდნენ სეირნობასა და „საქმიანობას“. არონი, რუბენი და როლანდი ცოტა გაგულიანდნენ, ახლომახლო ქუჩებშიც გაბედეს გამოჩენა, „მოსკვიჩით“ ალარ-ჩალარეს ქალაქის ბაღს.

— წავიდეთ წყალტუბოში, სწორი გზაა, ვნახოთ, როგორ გარეკავ, რამდენ წუთში ჩახვალ, საინტერესოა, — უთხრეს ერთხელ რუბენს ძმაკაცებმა.

სამსახური აწუხებდათ თუ რა არონს, როლანდსა და რუბენს! მანქანა ჰყავდათ, ჯიბეში ფული ჰქონდათ, და გასწიეს დღის პირველ საათზე წყალტუბოსაკენ, მაგრამ მათი მოგზაურობა ფათერაკით დამთავრდა. გაქანებული „მოსკვიჩი“ ხელისგულივით სწორ გზაზე გადაუბრუნდათ და დაიმტვრნენ.

ახლაც არიან რუბენ ებრამის-ძე ფიჩხაძე, არონ სიმონის-ძე შათაშვილი და როლანდ ფილმაზის-ძე ბაბალიკაშვილი. ქუთაისში ცხოვრობენ. დადიან ალმადალმა, არსად არ მუშაობენ.

ოპერაცია „სიგარეტი“

საკათხეს დაცვა ჰყავდა. მელამ გადაწყვიტა მუშაობა დაიწყო ყარაულად. უკეთესს რას ინატრებდა, და საქმეზეც დარაჯად დაუდგა. საქმეზე ილია ალექსანდრეს-ძე ჯაყელმა თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკა წარმოიდგინა. თავის თავისთვის ი. ჯაყელს მელა არ უწოდებია, მაგრამ ყველამ დაინახა, რომ მან მელიის როლი შეასრულა.

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მზა ნაწარმის საწყობის გამგემ ვინტანგ პეტრეს-ძე მიხდორაძემ და „საქბაკალიის“ ექსპედიტორმა ვალერ ბოლის-ძე ნოეკაბიძემ მოიოლაპარაკეს და გადაწყვიტეს საწილმწყობო ხარჯზე გამდიდრება. ამისათვის საჭირო იყო უბრალო ოპერაცია: როცა ფაბრიკის გასასვლელში მორიგედ იქნებოდა ი. ჯაყელი, ავტომობილინაზე დაწყობდნენ სიგარეტებად ყუთებს, და მერე მათ იცოდნენ...

საწილმწყობო ქონების დამტაცებლებმა საღამოხანს სატვირთო ავტომანქანის ძარაზე დაწყეს 13.230 მანეთის ღირებულების 94.500 ცალი სიგარეტი, მაგრამ ფაბრიკის გამოსასვლელ კართან ოპერაცია „სიგარეტი“ ჩაშალა. მილიციის ორგანოების სიფხიზლე რომ არა, მტაცებლებს შეეძლოთ სახელმწიფო ქონება მეთვისებინათ.

ამაზე ღრმად უნდა დაფიქრდეს საწარმოს ხელმძღვანელობა. ყოველ საწარმო-დაწესებულებაში საქმე ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ ბოროტმოქმედმა სახელმწიფო ქონების ხელყოფაზე ფიქრიც კი ვერ გაბედოს.

ბ. ბახტურიძე.



ჭადრაკი

სავონმა მიზანს მიაღწია!

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურში ვ. სავონი უკვე მე-17 სვლაზე შეუთანხმდა ყაიმზე დ. ბრონშტეინს. ჩემპიონობის მეორე პრეტენდენტმა მ. ტალმა დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადადო პარტია ი. პლატონოვთან. ა. კარპოვმა ღაამარცხა მ. ცეიტლინი, ლ. შამკოვიჩმა — ე. ელერი, ვ. სმისლოვმა — ი. ნიკოლაევსკი. რ. ჯინჯიხაშვილი ყაიმზე შეუთანხმდა მ. ტაიმანოვს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეჩვიდმეტე ტურში ლიდერმა ვ. სავონმა კიდევ ერთი პარტია (რიგით მეოთხე!) დაამთავრა ყაიმით, ამჯერად ი. ნიკოლაევსკისთან. ხარკოველი ოსტატი ინარჩუნებს ლიდერობას, მაგრამ მას შეიძლება გაუსწროს მ. ტალმა, რომელმაც გადადო პარტია კ. გრიგორიანთან. საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა საგრძნობლად გაძნელდა. დ. ბრონშტეინმა სძლია ა. კაპენგუტს, ლ. პოლუგაევსკიმ — ა. ლეინს, მ. ტაიმანოვმა — რ. ვაგანიანს (ახალგაზრდა ერევნელი გროსმაისტერი ერთადერთია მონაწილეთაგან, რომელმაც ფაქტიურად დაყარა ფარსმალი, ბოლო 9 პარტიიდან მხოლოდ ერთი ქულა მოაგროვა), ლ. შტეინმა — მ. ცეიტლინს. ვ. სმისლოვი ყაიმზე შეუთანხმდა ნ. კროგიუსს.

22 მონაწილიდან დღეისათვის დაუმარცხებელნი მხოლოდ ვ. სავონი და ვ. სმისლოვი დარჩნენ. ვ. სავონმა უკვე შეაგროვა 11,5 ქულა, რაც გროსმაისტერის ბალს უდრის.

ლიდერი არ შეცვლილა

სოფი გრძელდება საკავშირო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები ჭადრაკში ქალთათვის. უკვე გათამაშდა 6 ტური. კვლავ წარმატებით გამოდის ლენინგრადელი ოსტატობის კანდიდატი ი. ლევიტინა, რომელსაც 5,5 ქულა აქვს და ერთპიროვნულ ლიდერობას განაგრძობს. მეექვსე ტურში ლევიტინამ მოუგო ბალაშოვას. როგორც ცნობილია ჩვენი რესპუბლიკიდან ფინალურ ტურნირში გამოდიან ოსტატები ც. კობაიძე და ე. კაკაბაძე. პირველმა მეექვსე ტურში მოუგო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკეს ესტონელ მ. ორანიკუს, ხოლო კაკაბაძემ — ტიტორენკოს. ც. კობაიძეს 4 ქულა აქვს და ლიდერთა ჯგუფში იმყოფება.

მეექვსე ტურში ზატულოვსკაიამ სძლია ბელაევენეცს, მკრტჩიანმა — საკოვას. კისელიოვა — რუბცოვას პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ფეხბურთის ამგეგი

კვირას მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ერთი შეხვედრა ფეხბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. დედაქალაქის ტორპედოელთა მეტოქე იყო აუტსაიდერი — ტაშკენტის „პახტაკორი“. 81-ე წუთზე ტორპედოელმა მცველმა იანეცმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე ხელით მოიგერია ბურთი — პენალტი. 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა უნაკლოდ გამოიყენა კუზმინმა. ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. გაიმარჯვეს ტაშკენტელებმა. მიუხედავად ამ წარმატებისა, „პახტაკორს“ 20 ქულით (25 თამაშიდან) სტუნირო ცხრილში უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

ამრრას შედგა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო პირველობის მატჩები ფეხბურთში. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ დაამარცხა ყაზანის „რუბინი“ 3:1, დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ — დუშანბეს „პამირი“ 5:2, ფრუნზეს „ალგაშ“ — ქუთაისის „ტორპედო“ 2:1.

ლიდერობს დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, რომელსაც 37 ტურის შედეგ 56 ქულა აქვს. მოსკოვის ლოკომოტიველები ლიდერს 2 ქულით ჩამორჩებიან. მესამე ადგილზეა ოდესის „ჩერნომორეცი“ — 47 ქულა.

ევროპის ფეხბურთის ასოციაციამ (უეფა) წინადადება მისცა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი ცსკა-სა და ბელგიის „სტანდარდს“ შორის, როგორც ადრე იყო გათვალისწინებული, შედგეს 20 ოქტომბერს მოსკოვში.

მოსკოვის „სპარტაკი“ კი უეფას თასის გათამაშების პირველ მეთექვსმეტედფინალურ მატჩში საკუთარ მოედანზე მიიღებს პორტუგალიის „ვიტორიას“. ეს შეხვედრა გაიმართება 21 ოქტომბერს.

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი **ჩრდილოეთ ირლანდიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს** შორის გაიმართება 13 ოქტომბერს ბელფასტში. თამაში დაიწყება 18 საათზე მოსკოვის დროით.

ბაიმარშა ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში.

ლონდონ. ავსტრიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დაამარცხა ირლანდიის გუნდი 6:0 (3:0). პირველი ადგილი მეექვსე ჯგუფში განაღდებული აქვთ იტალიელებს, რომელნიც მეოთხედფინალში გავიდნენ.

როტერდამი. თავისი უკანასკნელი-წინა შესარჩევი მატჩი ევროპის პირველობაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს ჰქონდა ჰოლანდიის ნაკრებთან და დამარცხდა 2:3 (1:1). მეშვიდე ჯგუფში ლიდერობენ იუგოსლავები.

ვარშავა. აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა ფეხბურთში პოლონეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთა შორის. გაიმარჯვეს დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა 3:1 (1:1). მერვე ჯგუფში ლიდერობას გფრ-ის გუნდი ინარჩუნებს.

კოპენჰაგენი. დანიის ოლიმპიურმა ნაკრებმა ოლიმპიური ტურნირის საკვალიფიკაციო მატჩში დაამარცხა რუმინეთის გუნდი 2:1 (2:0).

ერონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. თ. ნ. **გოგოლაძე** დანიშნა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

ჟ. ი. ოლიშარია — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **კონსტანტინე ივლიანეს-ძე ოდიშარიამ** სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაციათემაზე: **„უმთავრესი ერთლებნიანი მარადმწვანე მცენარეები და მათი კულტურა დასავლეთ საქართველოში“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა კ. ოდიშარიასათვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ტელევიზია

12 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები, (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.45 — ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი ბავშვებისათვის „ინდიელი ჯოს სიკვდილი“. (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.55 — — საგელვეზიო დადგმა „შურისმგებელი“, 17.00 — „ექიმთა დასახმარებლად“, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — განცხადებები, 18.00 — კინონარკვევი, 18.10 — ბავშვებისათვის „ახალი ცხოვრების მშენებლები“, 18.30 — ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელთა თვის. „სოციალისტური დაგეგმვის ორგანიზაცია“, 18.50 — „ლახტის წრეში“. 19.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია 1. „ბალიტრა“. 2. მომღერლის შემოქმედებითი ალბომი. — ზ. სოკაილავა, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — მხატვრული ფილმი „უკანდასახევი გზა მოჭრილია“ (მეორე სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ძვლებური რუსული რომანსის საღამო“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 23.15 — მოსკოვიდან — სპორტული დღიური — საქართველოს ტელევიზიის მონაწილეობით.

მეორე პროგრამით

19.05 — სკოლების დასახმარებლად — „ბაზვა (ჭრილები, მარტივი ჭრილის აგება) მერვე კლასელთათვის, 20.05 — განცხადებები, 20.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 21.50 — — საქართველოს ფერადი ტელევიზია — დოკუმენტური ფილმი „კერამიკის ახალი სიცოცხლე“, 22.20 — მხატვრული ფილმი „მაზავრი ქალი“.

13 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი „მონრეალი, ეწპო-67“, 12.05 — ძველი რუსული რომანსის ქართველი შემსრულებლები — განმეორებით, 12.50 — საგელვეზიო დადგმა „ანგელოზის ქუჩა“ (I ნაწილი), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — — კინონარკვევი, 18.20 — ბავშვებისათვის „გაბედული ფოტომონადირე“, 18.35 — გადაცემა „ხალხის სახელით“, 18.50 — „ჩვენი ინტერვიუ“, 18.55 — ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები — საბჭოთა კავშირის ნაკრები (ბელფასტიდან), 20.50 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — ახალგაზრდა შემოქმედთა გამოფენაზე, 21.55 — მხატვრული ფილმი „უკანდასახევი გზა მოჭრილია“ (III სერია), 22.45 — „ვრემია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — კონცერტი.

მეორე პროგრამით

19.05 — სკოლების დასახმარებლად: შრომითი სწავლება (ლაბორატორიული სამუშაოები ლითონზე), 20.05 — განცხადებები, 20.10 — სტუდენტთათვის — ლექცია ხაზვაში, 21.15 — ტექნიკუმების მოსწავლეთა დასახმარებლად: ლექცია ტექნიკურ მექანიკაში. 22.20 — მხატვრული ფილმი „წყურვილი წყაროსთან“.

თეატრები

12 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აბესალომ და ეთერი: **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხიდი; **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჯერკას ქორწილი.

რედაქტორი
დ. მგელაძეშვილი.

ქრონიკა 380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ